ადამიანის სულის სილამაზე და სიფაქიზე, ზრდოლობაში აისახება. ზრდილობიანი პიროვნების შინაგანი ზრახვები ყოველთვის დადებითი და კეთილია. ყველაზე კარგი ისაა, ვინც ალლაპს და შუამავალს იწამებს და მათ მიერ მოწოდებულ გზას გაპირება.

წმინდა ყურანი გვიბრძანებს: განვუდგეთ ტყუილს, სიყალბეს, ბილწისტყვაობას, ქედმაღლობას, ცინიზმს და სხვა ბოროტ და ცვალ ჩვევებს.

წმინდა ყურანი, ყველა იმ ზრდილობის საფუძველს
გვამცნობს, რომელთა დაცვით ადამიანი ამქვეყნადაც და
საიქიოშიც პოვებს ბეჭინიერებას.

ადამიანს თავისთვიდან დაწყებული გამჩენით დამ-
თავრებული, კველა გაჩენილის მიმართ პასუხისმგებლობა
აკისრია. გამჩენის მიმართ პასუხისმგებელობა დათისმ-
სახურებით სრულდება. ადამიანის მიმართ პასუხისმგებ-
ლობა კი ურთიერთ პატივისცემითა და თავაზიანი მოპ-

წმინდა ყურანი აღალსა და
აკრძალულს, კარგსა და ცუდს,
სწორსა და მცდარს გვასწავლის

წმინდა ქურანი გვასწავლის, თუ რა ჰქმნა ალლაჟმ
ნებადართული და რა აკრძალული, თუ რაა კარგი დ
ცუდი, გვიორჩევს კეთილისა და კარგის გამრავლებას, ცუ
დისაგას გარიდებას, რადგან ალალი და კეთილი საქმეებ
და ქცევები შევებას გვვრის, ცუდი კი გულს გვიხმობს.

წმინდა ეკურანი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახს

წმინდა ქურანი საზოგადოებრივ სფეროში უდიდეს
მნიშვნელობას ანიჭებს ოჯახის ადგილს. იმისათვის, რომ
ოჯახმა მშვიდად, ბედნიერად და ურთიერთშეხმატები-
ლებულად იცხოვოს, წმინდა ქურანი ოჯახის კველა
წევრს ერთმანეთის მიმართ თავიანთ ვალდებულებებს
სათითაოდ ამცნობს. მშობლებისგან ითხოვს: აღზარდონ
ზრდილობიანი, შრომისმოყვარე, ალალი და პატიოსანი
ჯანმრთელი შვილები. შვილებს კი მშობლების მიმართ
პატივისცემას, თავაზიანობას, მოხუცებულობის ქამს მათ-
ხე ზრუნვას ავალებს. კველას ქვრივ-ობლებისა და და-
რიბ-დაჩაქთა დაპურებას გვიძრძანებს.

და ბრძანა შენმა ღმერთმა, რომ თაყვანი არ უნდა სცე მის გარდა სხვას არაფერს და კეთილად უნდა მოჟყრო მშობლებს, და თუ იმა(მშობელ)თთაგან ერთი ან ორივე შენთან მიაღწევს მოხუცებულობის უამს, არც კი უთხრა „ოოპ“ და არც გაკიცხო, უთხარი მათ მხოლოდ ტებილი სიტყვა.

(სურა ისრა, აიათი 23)

წმინდა ყურანი სიყვარულს გვასწავლის

წმინდა ყურანი ჩვენგან ოჯახისა და მშობლების სიყვარულს ითხოვს. გვახსენებს, რომ ჩვენი ამ ქვეყნად მოვლინების მიზეზი ჩვენი მშობლები არიან და მშობლებსა და მშობლებს პატივით მოვაჟყროთ.

ასევე წმინდა ყურანი ჩვენგან მოითხოვს, ნათესავები გვიყვარდეს და მათთან მტკიცედ ვიყოთ სიყვარულით დაკაგშირებული. ასევე გვიყვარდეს მეზობლები, ვიყოთ მათთან კარგ ურთიერთობაში და გაჭირვების დროს დავხმაროთ მათ. ჩვენ ხომ მეზობლებთან გვერდიგვერდ ვცხოვრობთ. თუკი მათ მწუხარებას გულით გავიზიარებთ, ამით დარღს შევუმსუბუქებთ, თუ მათ ბედნიერებას გავითავისებთ, სიხარულს შევმატებთ.

წმინდა ყურანი ჩვენგან ითხოვს, გვიყვარდეს ადამიანები ეროვნებისა და წოდების განურჩევლად, რადგან ალლაჰმა ყველა თანასწორუფლებიანი გააჩინა. არავინ არავისზე მაღლა არ დგას. ღმერთის წინაშე ნამდვილი სიმაღლე ღვთისმსახურებასა და ღვთისმოშიშობაში აისახება. ვინც ალლაჰს არ ეურჩება და მის სიყვარულს დაიმსახურებს, ამაღლებული პიროვნება ის არის. თუკი ერთმანეთი გვეყვარება, ამ ქვეყნიერებას ბაღნარად ვაქცევთ, ეს კი ჩვენს ხელთაა. ომებმა და უთანხმოებამ კაცობრიობას უბედურებისა და მწუხარების მეტი რა მოუტანა? ადამიანის სიცოხლეზე ძვირფასი არაფერია. ჩვენს წმინდა წიგნში მოთხოვნილია, რომ თუ ერთი ადამიანის სიცოხლეს გადაარჩენ, ეს კაცობრიობისათვის სიცოხლის მინიჭების ტოლფასია. ასევე, ერთი ადამიანის მოკვლა, კაცობრიობის მოკვლის ტოლია, ამას ყურანი გვასწავლის.

წმინდა ყურანი ჩვენგან მოითხოვს, ხელი გავუწოდოთ უსახლკაროებსა და უპატრონოებს, დავეხმაროთ მიუსაფარსა და გზად დარჩენილს. ყველგან და ყოველთვის სიკეთე ვთქსოთ.

წმინდა ყურანი გვავალებს, სულიერი თუ უსულო, ყმელა არსება გვიყვარდეს.





ვფიცავ, ალლაპის
შეაძავალი ოქვენთ-
ვის საუკეთესო მაგ-
ალითია.

(სურა აჭზაბი, აიათი 21)

A decorative horizontal border at the top of the page, featuring a repeating pattern of stylized leaves and flowers in a light beige or cream color.

დამით ცაში მოელგარე ვარსკვლავები, მთვარე, მზე,
წვიმა და ქარი, მოჩუხებუები ნაკადულები, მრავალფეროვანი
ყვავილები, პატრიტი მოფარფატე პეპლები და ხეებზე შე-
მომსხდარი მგალობელი ჩიტები, - ეს ყველაფერი ჩვენს ვე
გამჩენს გვასსენებს, თითქოსდა ყოველ წამს უკრაში ჩაგვ-
ძანის, რომ „დედამიწაზე ყველაზე ძირფასი ქმნილება
ადამიანია“.

წმინდა ყერანი ჩვენგან ითხოვს: გვიყვარდეს ჩვენივე
გამქენი ალლაპი, იმიტომ, რომ ამქვეყნად კველაფერი მან
ჩვენთვის გააჩინა, მას ჩვენ ძალიან ვუყვარვარო და ჩვენც
ძალიან გვიყვარს იგი. ასევე ძალიან გვიყვარს წმინდა
წიგნი ყურანი, რომელმაც გვასწავლა ადამიანის სიყვა-
რული.

წმინდა ყურანი ჩვენგან ბავშვების მიმართ სიყვარულით მოპყრობას მოითხოვს. პატარებს მოფერება სჭირდებათ. თითქოსდა ბავშვებიც იმისათვის არიან გაჩენილი, რომ გვივარდეს ისინი. ისე, როგორც წყალი სიცოცხლეს აძლევს კვავილებს, ბავშვსაც ასე ესაჭიროება საზრდოდ სიყვარული და მოფერება. ისლამი გვიძრდანებს: „მოვალეობით მიუსაფარ და მატერიალურად გაჭირვებულ ბავშვებს, შეძლებისდაგვარად მათ დახმარების ხელი გავუწოდოთ.

ბავშვები სპერტი და უცოდველნი მოვლინენ ამ ქვეყანას. წმინდა კურანი მათ მოვლინებას მუდამ სიტყვა „სახარებელით“ მოიხსენებს. ყოველი მათგანი თითოეულად საყვარელი ქმნილებაა.

ბავშვები უდიდესი გამჩნის მიერ ჩვენზე ნაბოძები საჩუქარი და ოვალის გამბრწყინებელი ქმნილებები არიან. წმინდა ყურანი მათ „ოვალის სხივს“ უწოდებს. ისინი დედ-მამის, ბებია-ბაბუების ოვალის ჩინკვით ფაქიზი მოსაფრენებელი და საზრუნოვანი არიან.

წმინდა ყურანი მათ ამქვეყნის სამკაულს უწოდებს, რადგან ეს ქვეყანა ბავშვებით არის მშვენიერი და ხალი-სიანი.

საყვარელ წმინდა მუჭამმედ შეკავალე (ს.ა.ს.) ძალიან

უყარდა ბავშვები და დიდ პატივს სცემდა მათ. კალთაშ ჩაისვამდა და, - „ესენი ჯენეროს (სამოთხის) სახიამოვნო სუნის მატარებელი არიანი“, - იტყოდა ხოლმე. იგი ბავშვების წევნინებას საერთოდ ერიდებოდა. ობლები წევნინება-დამცირება მისითვის ტანჯვა იყო. იგი ობლებავშვებს ხშირად ზურგზე შემოისვამდა, ათამაშებდა და ეცუმრებოდა, გზაში თუ შეხვდებოდა, მიესალმებოდა და გულში ჩაიხუტებდა, დაპკოცნიდა, მიეფერებოდა, მდგომარეობას გამოპკითხავდა და გაეთამაშებოდა. იგი გული სიდრმეში მათ მწუხარებას გრძნობდა.

უფროსები უნდა ეცდებოდნენ ისე მოეცყრონ ბაგშვებს, როგორც წმინდა ქურანი და წმინდა მუჰამედ შეამავლით (ს.ხ.ს.) ბრძანებს.

წმინდა ყურანის ოჩეული ბავშვებს

ბავშვებისადმი ოჩევები, ოომლებიც ყურანშია მოცე
მული, უძჭველად, ალლაჰისმიერია, ამიტომ ყოველი მორწე
მუნე ბავშვისთვის დიდად საყურადღებოა იმ ოჩევები
მიხედვით მოქმედება.

კუკელი ღვთიური რჩევის ჩვენამდე მომტანი წმინდაშუამავლები არიან, ამიტომ, რა თქმა უნდა, მათ მიერ მოტანილი რჩევებიც ერთნაირი შინაარსის მაჩარებელია.

წმინდა იბრაჟიმ და იაყებ (იაკობ) შუამავლები მიერ თავიანთი შვილებისადმი რჩევები, წმინდა ქურანში ასევა გადმოცემული: „შვილებთ! ღმერთმა ოქენეთი რჯულად იხდამი აირჩია, ამიტომ არ მოჰკვდეთ თუ აიშმით მუსლიმანი“.

„(ურმავენოები) ნუთუ თქვენ იქ იყავით, როცა
იაყდბა სიკვდილის წინ თავის შვილებს უთხრა
ჩემ(ვარდაცვალები)ს მერე ვის უნდა ეთაყვანოთ? მათ
მიუგეს: ვეთაყვანებით შენს ღმერთსა და შენი მამა-პაპე
ის: იძრავიმის, ისმაილის და ისპაის ერთადერთ ღმერთს
ჩვენ მორჩილ კუჭებით მას და მუხლიძანი ვართ“

(სურა ბაყარა, აიათი 132-133)

და როცა ოქვენი შვილები ზრდას-რულ იქმნებიან, ითხოვთ ნება (საძინებელი ში შემთხვევისათვის ისე, როგორც ითხოვეს მათამ-დელებმა. ასეთნაირად გაგიმარტავს ალლაჟი თავის აიათებს, ალლაჟი მცოდნეა, ბრძენია.)

(სურა 64-ით, აიათი 59)



— „ერთ დროს ლოყმანმა თავის შვილს ასეთი რჩევა მისცა: შვილო! ალლაჟის ნურაფერს გაუტოლებ! რადგან ალლაჟისადმი თანამოზიარის დაწამება უდიდესი ცოდ-გაა.“

— „ადამიანებაც კურიეთ მშობლებისადმი კეთილდად მოპყრობა, ივი (ხომ) შუცლით ატარა დედამ კოველდა-დიური დაკრდომით და მისი ძემუხებან მოკვეთა ხდება თრ წელიწადში, (ამიტომ კუპრანანები მას), რომ მადლობა შემოვცვირე მე და შენს მშობლებს, საბოლოო დაბრუნება ჩემთანაა.“

— „და თუ გეკამათებ-გეწინააღმდეგებიან იმაზე, რომ თანამოზიარე გამიხინო მე, რის შესახებაც შენ არ გაგა-ნია ცოდნა, (ამ შემთხვევაში) პატივი არ ხევ (არ დაუ-ჯერო) მათ, და (მხოლოდ) ამქვეყნად მოუყარი კეთილდად და მაჲყ მათ გზას, კინც ჩემსეკენ მოიცავ, შემდეგ თქვენი დაბრუნება (მხოლოდ) ჩემთანაა და აი, მაშინ გაცნობებ თუ რასაც აკეთებდით“.

ლოყმანმა შვილისადმი რჩევა-დარიგება ასე გააგ-რძელა: „შვილო! (ესა თუ ის) ნამოქმედარი, მარცვლის თდენაც რომ იყოს და ივი იმყოფებოდეს ქლდები, ან ცაში, ან მიწაში დაფარული, მას ალლაჟი (განეითხეს დღეს ადამიანთა წინაშე) მოიგანს, რადგან ალლაჟი კოვ-ლი ფარულის მცოდნეა, კულდაფრის მცოდინარება.“

— „შვილო! ნამაზი იღორცე, იქადავ სიკეთე და განა-რიდე (ხალხი) მოუწინარისაგან, და მოითმინ იმაზე რა უბედურებაც გეწევა, რადგან ესენი უთურ ბრძანებულე-ბებია.“

— „ადამიანები არ დაამცირო და დედამიწაზე არ იარო მედიდურად, რადგან ალლაჟის არ უყვარს არც ერთი ამაჟი მედიდური.“

— „ხიარულ ზე ჩემულებრივი იყავი და მოუკეთო ხმა-სას შენსას, რადგან ხმათა შორის კულაზე მოუწინარი უთურდ კირის ხმაა.“

(სურა დუემანი, აიათი 13-19)



ვაპივითხოი.....

ობობა თავის სახელი გარდი გამოვიდა ბეჭდი მოგვიანების:

მე ერთი პატარა ობობა ვარ. მოიცადეთ! ახლავე ნუ შეიჭმუხნებით. ვიცი, რომ ბევრ იქვენგანს ჩემი შეხედულება არ სიმოწებს, უფრო მეტიც, ეშინიათ კიდევც, მაგრამ ნურასდომის დაივიწყებოთ, რომ გამჩენს არავერი გაუ-ჩენია ამქვეყნად ტყუილუბრულო. მან წმინდა უურანში მე მასენა და წმინდა მწამმედ შუამაფლმაც (ს.ა.), მისი ბრძანების თანამად, წმინდა ფურანის 29-ე სურას ჩემი სახელი, (არაბულად ანქებული) შეარქვა. ახლა კი მოკლედ გაგაცნობთ ამ სურას.


სურა „ანქებული“ 69 აიათისაგან შედგება. სურაში მოცემულია შემდეგი მთავარი საკითხები: რწმენა ალ-ლაჟებე, მშობლების მიმართ პატივისცემა და თავაზიანად მოპყრობა, ცუდის მქმნელთა საბოლოო განკითხვის სავალადო შედებები, სიკეთის მკეთებელთა კველაზე საუკეთესო ჯილდორი დაჯილდოება, თუ როგორ იცავს ცუდი ქცევებისაგან ნამაზის შესრულება ადამიანს, ალ-ლაჟის სხენება უდიდესი დვითხმსახურებაა. თუ როგორ იციწყებაში ადამიანით თავიანთ გამჩენს, როცა ისინი ფუ-ფუნებაში იმყოფებიან, კოველი გაჩენილი არსება უნდა მოკვდეს, ტყუილის ტქმა ძალიან ცუდი საქციელია, ყო-ველი პიროვნება მხოლოდ თავის ცოდვაზე აგებს პა-სუსს. ასევე ამ სურაში ზოგიერთი შუამაფლის ცხოვე-ბიდან მოკლე ამბებია მოცემული. ესენი არიან: ნუპი(ნოე), იბრაჰიმი(აბრაამი), დუები(ლოთი), შუაიბი(იობი) და პუდი.

ახლა მოკლედ იმაზე, თუ რა მაკავშირებს მე ამ სუ-რასთან. ეს სურა თავის სახელს მის 41-ე აიათში ნახ-სენები ობობას ქსელის გამო დებულობს. ამ აიათში მოთხოვობილია, რომ ნამდვილი, ქვემარიტი რწმენის გვერ-დით ცრუ რწმენა ძალზედ სუსტია და მას არ შეუძლია გაუმდოს დროს. „ანქებულ“ დედალ ობობას ნიშნავს, იგი ქსელის დაგების დროს, თავის მეწყვილე მამრ ობო-ბას კლავს, შემდეგ მისი მსხვერპლი იმ ქსელში გაბმული მწერები არიან. ჩვენს მიერ გაკეთებული სახლი, ჩვენივე შეხედულებით, ძალზედ მყარია, იმდენად მყარი, რომ ქსე-

მაგალითი იმათი, ვიცი ალლაჟის გარდა სხვები გაიხადა მეგობრად, მსგავსია ობობას მაგალითი-სა, რომელმაც გაიგ-ეთ სახლი, მაგრამ გველაზე სუსტი სახ-ლი, უმკველეად, ობო-ბას სახლია, ნეტავი მათ ეს იცოდნენ.

(სურა ანქებული, აიათი 41.)





ლისათვის გამოყენებული მასალა თავისი ზომის მაგ-
სულზეც კი გამძლეა.

ადამიანებმა არ იციან, მაგრამ მე თქვენ გეტყვი, რომ
ჩენ ობობები, ქსელის მოქსოვნამდე ჯერ მათემატიკურ
და გეომეტრიულ გაანგარიშებას ვაკეთებთ. ჩვენს მიერ
გაკეთებული ქსელი ჩვენთვის ერთდროულად საწოლი,
გზა, გამაფრთხილებელი, სასიგნალო ხელსაწყო და დამ-
ცავი ჯაეშანია. ობობას ქსელი, ჩვენი შეხედულებისა-
მებრ, რამდენადაც გამძლე უნდა იყოს, ყველას კარგად
მოგეხსენებათ, მისი გამძლეობა. ობობას სახლი ვერც
ჩრდილს წარმოქმნის და ვერც დამცავის როლს შეა-
რეულებს, ოდნავი ნიავი, მცირეოდენი შეხება და ობობას
სახლი უკვე დანგრეულია.

სურაში მოცემული ამბები და ამ ამბების შედეგად
ჩვენზე გადმოსაცემად გამიზნული მესიჯი, ობობას ქსელ-
თანა შედარებული. ამის გამო ჰქვია ამ სურას „ობობა“
ობობას ქსელი რამდენადაც სუსტი და უსუსურია, იმდე-
ნად უსუსური და უმწეოა იმათ დასაყრდენი და მაშვე-
ლი ძალა, ვინც ერთადეკრო ვამჩენელი ღმერთის გარდა
სხვა რამის წინაშე აღავლენს ლოცვას და მისგან დახ-
მარებას მოითხოვს. ადამიანები ზოგჯერ მათვის მო-
საწონ ძალებს, სამყაროს მთავარ მმართველ ძალად მიიჩ-
ნევთ. ასევე ზოგიერთებსაც მთავარი ძალა თანამდებობა,
ფული და სიმძიდრე ჰგონიათ, ამიტომ ყოველივე ამის
მოსაპოვებლად საკუთარ თავსაც კი სწირავენ. ზოგიც
კიდევ არასასარგებლო რამების შესწავლას სწირავს
თავის ცხოვრებას. ზოგჯერაც ადამიანებს ტყვია-წამალი,
საბრძოლო ტექნიკა მიაჩინათ ყველაზე უდიდეს ძალად,
სინამდვილეში კი ყველა ისინი გალდებული არიან დაი-
ნახონ და ირწმუნონ ის უხილავი და უზენაესი დვოიური
ძალა, რომელმაც გააჩინა ყველა ის ძალა, რაც ადამიანს
მთავარ ძალად მიაჩინა.

აი, სწორედ ალლაპი ყველა იმ უსაფუძვლოდ გად-
მერთებულ ძალებს ობობას ქსელს ადრის, რომელიც
ერთი შებერვით იშლება. ნამდვილი სიძლიერე ალლა-
პის რწმენაშია. მის გარდა რამდენადაც ძლიერად უნდა
მოგვეჩვენოს ესა თუ ის არსება, ან ტექნიკა, ყველა ალ-
ლაპის წინაშე არარაობაა. განა არ იციან ადამიანებმა,
თუ როგორ გამოასალმა სიცოცხლეს უმწეო ბუზის მეშ-
ვეობით „დმერთობას“ აჩვენებული ნემრუდი? ან როგორ

დაახრჩო ზღვაში იგივე გრძნობით გამედიდურებული ფარაონი? ან კიდევ, როგორ დაიცვა წმინდა მუჰამმედ შუამგალი (ს.ა.ს.) გამოქაბულში ობობას გაძმული ქსელის მეშვეობით მაშინ, როცა მას ურწმუნები მოსაკლავად სდევდნენ? როგორ არ იციან, კი იციან, მაგრამ სიმართლის დანახვა და აღიარება არ სურთ.

რასან სიტყვა აქამდე მოვიდა, მინდა გაგიზიაროთ ის ბედნიერება, რომელიც მე მერგო წილად. მე ის ობობა ვარ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შევასრულე წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს.) მექადან მედინაში გადასვლის (ჰიჯრეთის) დროს. უდიდესმა ალლაჰმა დამგალა, მომექსივა ქსელი იმ გამოქაბულის შესასვლელში, სადაც წმინდა შუამავალი და მისი მეგობარი აბუ ბექირი აფარებდნენ თავს. ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება წმინდა შუამავლის ნათელით მოცული სახის დანახვა იყო. მისი და მისი მეგობრის ერთად გატარებული სამი დღე ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები იყო.

თუ თქვენც მხოლოდ ალლაჰს ირწმუნებთ, მას შენდობით და დახმარებას მხოლოდ მისგან მოიცხოვთ და არა სხვა რამ ქნილებებისაგან, მაშინ ყოველგვარ სიძნელეს გადალახავთ. ამიტომ მიენდეთ უდიდეს ალლაჰს, არ არსებობს ვინარ სა უძრავო დამზარებული და მშველელი.



ნაშილი მეოთხე

წმინდა შურანში გადმოცემული ამბები

პირველი შუამავალი, პირველი აღამიანი

ალლაჰმა თავდაპირველად კაცობრიობის მამა ადემი (ადამი), შემდეგ კი მისი მეუღლე, კაცობრიობის დედა ჰავვა (ევა) გააჩინა. მათ ასწავლა არსებები და მათი სახელები. ადემს ასწავლა, რომ მეუღლისათვის ჰავვა უნდა ეწოდებინა, ხოლო ჰავვას კი - ადემისათვის ადემი. მათ ასწავლა ყველაფერი, რაც იმ დროისათვის ესაჭიროებოდათ, ადემს შუამავლობა უბომა. მთელი კაცობრიობა წმინდა ადემ შუამავლისა და ჰავვასაგან გამრავლდა. ისინი დედამიწის სხვადასხვა მხარეს მიმოიფანებენ. ასეთნაირად წარმოიქმნა დედამიწაზე მრავალი ენა და ეროვნება. თეორეანიანებიცა და შავკანიანებიც წმინდა ადემისა და ჰავვასაგან წარმოიშვნენ. რამდენადაც უნდა განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისაგან თმისა და თვალების ფერით, რამდენნაირ ენაზეც უნდა ვილაპარაკოთ, ყველა ჩვენგანს ერთი გული, ორი სელი და ორი ფეხი აქვს. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ყველას აზროვნება და ჰერა გაგვაჩნია. ყველაფერ ამას წმინდა ყურანი გვასწავლის. მასში რომ არ ყოფილიყო ჩაწერილი, ჩეენ არ გვეცოდანებოდა თუ როგორ გაქნდა აღამიანი, როგორ გამრავლდა შემდგომში და როგორ დანაწილდნენ საცხოვრებლად დედამიწის სხვადასხვა მხარეს. დედამიწა რომ აღამიანის სამსახურში დგას, ეს ჩვენ წმინდა ყურანის მეშვეობით ვიცით.

წმინდა ადემის გაჩენამდე „მელაიქე“ (ანგელოზი) და „ჯინი“ (ქაჯი) სახელის არსებები იქნა გაჩენილი. როცა ღმერთმა მელაიქებს ამცნო, რომ მას დედამიწაზე აღამიანი უნდა გაეჩინა, მათ მიუგეს: დმიტორ ჩვენი,

ჩვენ შენ გეთაყვანებით, გაქებთ და გადიდებთ. ვშემობთ, რომ ადამიანი, რომელიც უნდა გააჩინო, დედამიწაზე სისხლისღვრასა და არეულობას მოიტანს. „ის, რაც თქვენ არ იციო, მე ვიციო“ მიუგო ალლაპმა და პირველი ადამიანი და პირველი შუამაგალი მიწისაგან შექმნა, მერე კი სიცოცხლე მისცა (შთაბერა).

ალლაპმა წმინდა ადემს ყველაფრის სახელი ასწავლა. მზე, მიწა, ქარი, ყვავილი, ჩიტი და. რამდენი არსებაც არსებობს, ყველა მათგანის სახელი სათითაოდ ისწავლა წმინდა ადემმა. მელაიქებისთვის კი ამის მსგავსი არაფერი უსწავლებია გამჩნის. მან წმინდა ადემი და მისი შთამომავლობა მელაიქებზე მაღალ საფეხურზე დაყენა. ღმერთმა ადემს უბრძანა, მელაიქების წინაშე ჩამოეთვალა მოლიან გაჩნილოთა სახელები, და როცა ადემმა ეს ვაკეთა, ამის მნახველმა ანგელოზებმა ალლაპმის ბრძანების თანახმად, ადემს სეჯდე (მის წინაშე პირქე დაემხნენ) გაუკეთეს, რითაც მათ, ადემის სიმაღლე და სიდიადე აღიარეს. ხოლო შეითანა (ეშმაგმა) კი ადემის წინაშე ქდია არ მოიხარა და უარპო მისი სიმაღლე. მან განაცხადა, რომ თვითონ ცეცხლისგანაა გაჩნილი, ადემი კი მიწისაგან, ამიტომ, მისი აზრით, თვითონ უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ადემი და იგი სეჯდეს არ გაუკეთებდა მასზე მდაბოლი. ამით მან სინამდვილეში ალლაპმის წინააღმდეგ გაიღაშქრა ცეცხლიცა და მიწაც ალლაპმის გაჩნილი იყო და ცეცხლს მიწასთან არანაირი უპირატესობა არ ჰქონდა. წმინდა ადემი იმიტომ კი არ იდგა ეშმაგზე მაღლა, რომ იგი მიწისაგან გაჩნდა, არამედ იმიტომ, რომ მას ღმერთმა გონიერი და სურვილის თავისუფლება უბოდა.

ალლაპმა ქვეწიერების დასასრულამდე წეულ პქმნა შეითანი (სატანა), რომელიც გამედიდურდა, გამაყდა და ადამიანი მდაბიო არსებად ჩათვალა. მას ნება დართო მექანიად ექვთებინა ის, რასაც მოისურებდა სელმეორედ გაცოცხლების (განკითხვის) დღემდე. იმის ნაცვლად, რომ შეითანს დანაშაული მოენანიებინა, უფრო გაამაყდა და განებივრდა. მან ალლაპმის განუცხადა, რომ იგი ყველ დონეს ისმარდა ადამიანების ჭეშმარიტებისაგან ასაცდენად, ასეთნაირად შეიქმნა შეითანი (სატანა) ყველა კეთილი საქმის მტერი.

ალლაპმა წმინდა ადემს მეუღლედ პავვა გაუჩნდა და ორივე ჯენეტში (სამოთხეში) მოათავსა. მათ ნება დარ-

თო იქაური ყოველგვარი სიკეთით ესარგებლათ, გარდა ერთადერთი ხის ნაყოფისა, რომლის მიღებაც აუკრძალა და აცნობა, რომ სატანა ადამიანის აშკარა მტერი იყო და უდიდესი სიფრთხილე პმართებდათ.


შეითანმა დიდი მზაკვრობით შესძლო მათი მოტყუება, ისინი დაარწმუნა, რომ თუ იმ აკრძალული ხილის ნაყოფს შეჭამდნენ, უკვდაებად გადაიქცეოდნენ. წმინდა ადემმა და პავვა უმაღვე შეიცნეს თავიანთი დანაშაული და ინანეს. მათ არ სურდათ შეითანივით ხანგრძლივი და ცოდვებით მოცული სიცოცხლე. ალლაპმა მიიღო მათი მონაიება, შეიწყალა და ჯენეტიდან დედამიწაზე გადმოსვა საცხოვებლად. ასე დაიწყო ცხოვრება პირველი ადამიანისა დედამიწაზე.

დედამიწის ახალმა სტუმრებმა ალლაპმისაგან შვილის ბოძება ითხოვეს. ალლაპმაც მათ მრავალი შვილი, შვილიშვილი და შვილოშვილი მისცა. ასეთნაირად დაიწყო ადამიანის მოდგმის გამრავლება დედამიწაზე. ალლაპმა წმინდა ადემს თავისივე შთამომავლების მიმართ შუამავლობა დაკისრა, რომ იგი შეითანის ფანდებისაგან დაეცარა.

წმინდა ადემის შვილთაგან პაბილმა (აბელი) და ყაბილმა (კაფი) ალლაპმას მსხვერპლ შეწირვა გაუკეთეს. ღმერთმა პაბილის მსხვერპლი მიიღო, ყაბილისა კი არა. შეითანმა ყაბილს გული მმისდამი ბოროტებითა და სიძულვილით აღუვსო. ბოლოს ყაბილმა პაბილი მოჰქლა. ღედამიწაზე პირველად დაიღვარა სისხლი. შეითანი ამით ძალზე გახარებული და კმაყოფილი იყო. ყაბილმა არ იცოდა, სად წაედო მმის გვამი. ამ დროს მან ყვავი დაინახა, რომელიც მკვდარი ყავის დასამარხად ფეხით მიწას თხრიდა. ყაბილიც დაფიქრდა და თვითონაც ასე მოიქცა. მიწა ამოთხარა და მმა დამარხა. როცა წმინდა ადემი გარდაიცვალა, ისიც მიწას მიაბარეს.

წმინდა ადემი, პირველი ადამიანი, კაცობრიობის წინაპარი და პირველი შუამაგალი იყო. პირველად ტანსაცმელი მან ჩაიცვა, მიწა პირველად მან დახნა-დათესა. ალლაპმა მას რაც აუწყა, მანაც შეიღებს გადასცა. მათ ღმერთის რწმენა, სიკეთის კეთება, ადამიანებზე კეთილად მოპყრობა და მისალმება უანდერდა.

წმინდა ადემ შუამაგალიც ჩვენი შუამაგალია და მისი ცხოვრება ყველაზე კარგად უშრანშია მოცემული.



ნუსის გემი (ნოეს ჯიფობანი)

წმინდა ადამის გარდაცვალებიდან მრავალი წელი გა-
ვიდა. ხალხი გამრავლდა და სხვადასხვა მიმართულებით
გაიფანტა. მათ ჯგუფ-ჯგუფად, ტომებად იწყეს ცხოვრება.
ადამიანებმა დროთა განმავლობაში შუამავლის მიერ მოტა-
ნილი ერთდმერთიანობის რჯული დაივიწყეს და კერპებზე
იწყეს თაყვანისცემა. მათივე ხელით შექმნილ ქანდაკებებს
დმერთს უწოდებდნენ და მათზე ლოცულობდნენ, დაივიწყეს,
რომ წმინდა ადამ შუამავლის შეილები იყენენ და ის, რომ
იგი ერთდმერთიანობას ქადაგებდა. მდიდარი და შეძლებუ-
ლი დარიბსა და დაეკრძომილს ჩაგრავდა. მათ გულები ქა-
სავით ცივი, გრძნებები კი ტირანის წყურვილით ჰქონდათ
აღვსილი. მათვის უცხო იყო: მიმტევებლობა და მოწა-
ლება. მოკლედ რომ ვთქვაო, საზოგადოებაში მშვიდობისა
და სტაბილურობის ნიშანწყალი თოთქმის აღარ შეიმნიერ-
და. ამ კითარების გამოსახურებლად ახალი შუამავლის
მოვლინება იყო საჭირო. აღვირას სწოდ საზოგადოებას
ალლაპმა შუამავლად წმინდა ნუპი (ნოე) მოუვლინა. წმინ-
და ნუპი უკელასათვეს მისაღები, საყვარელი და სპეციაკი
ადამიანი იყო. იგი დარიბებს ეხმარებოდა და სიმართლეს
უშიშრად ლაპარაკობდა.

წმინდა ნუპი თავის ხალხს მოუწოდებდა, ერთადერთი
დმერთი ერწმუნაო, თაყვანი ეცაო მხოლოდ მისთვის და
არა კერპებისათვის. ამცნო, რომ იგი ალლაპის მოვლინილი
შუამავალია, თუ მას არ დაუჯერებდნენ, ხალხში მშვიდობა
და სტაბილურობა არ დამკიდრდებოდა. მათ არათუ დაუ-
ჯერეს წმინდა ნუპი, არამედ თვითონაც და ისინიც; გინც მას
ერწმუნა, მასხრად აიგდეს და დასცინებს. „შენც ჩვენნაირი
ადამიანი ხარ, რატომ უნდა დაგემრთილოთ და დაგიჯე-
როთ?“, - ეუბნებოდნენ მას. მიუხედავად დიდი გარჯისა,
შუამავალს ძალზედ მცირე ჯგუფი ერწმუნა. დანარჩენებმა
კელავინდებურად კერპებზე თაყვანისცემა, ცუდი საქმეების
კეთება, გაჭირვებულთა და უმწეოთ ჩაგრა-შევიწროება
გააგრძელებს. წმინდა ნუპ შუამავალს გიტა და სულელს
უწოდებდნენ. ყოველ ღონებს ხმარობდნენ, ხელი შეეშალათ
მის მოწოდებისათვის. ბოლოს იმდენად გაამპარტავანდნენ,
რომ წმინდა შუამავალსა და მის მიმდევრებს მოკვლითაც
კი ემუქრებოდნენ. მიუხედავად ამისა, ალლაპისმიერ მოვლე-
ნილი შუამავალი მოთმინებით აგრძელებდა თავის საქმია-

ნობას, თუმცა მან ვერა და ვერ შეძლო ქალაქის მოწინავე
საზოგადოების გულთა მოლბობა, მათ ისე პქონდათ ურწ-
მუნიბით გაქვაგებული გულები, კითარცა კერპი და ისევ
ურწმუნებაში აგრძელებდნენ თავიანთ ცხოვრებას.

უკიდურეს კითარებაში ჩავარდნილი წმინდა ნუპ შუ-
ამავალი ალლაპს შევევრა: „ღმერთო ჩემო! ჩემს მოწო-
დებას ტყუილს უწოდებენ, დამებარე მათ წინაშე“. ამის
გამგონე ურწმუნებამა უფრო მეტად აიგდეს წმინდა შუ-
ამავალი და დაცინებით უთხრეს. „აბა ვნახოთ, დაგვსაჯოს
იმ შენა ღმერთმა, ვისგანაც ითხოვ დახმარებას შენ“. ისი-
ნი ამ სიტყვებით უკვე აშკარად დაუპირისპირდნენ უზე-
ნაეს ალლაპს. მათ მიერ შუამავალზე და მოწმუნებულზე
განხორციელებული ზეწოლით, დაცინებით თუ დესპოტური
ქმედებით შექმნილი ვითარება ყოვლად აუტანელი, გაუ-
საძლიას შეიქმნა, ამიტომ წმინდა ნუპ შუამავალმა უდიდეს
ალლაპს კვლავ შეჰდადადა: „ღმერთო ჩემო, გადამრჩინე
მე და ჩემთან ერთად ჩემი მიმდევარიც“. ამის შემდეგ,
ალლაპმა წმინდა ნუპ შუამავალს გემის გაკეთება უბრძა-
ნა, თუმცა იმ დღემდე გემი ჯერ არასდროს არავის გაუ-
კეთებინა და არაგი იცოდა მისი აგებულება. უდიდესია
ალლაპმა წმინდა ნუპ შუამავალს გემის კეთება ასწავლა.
მან ტყიდან უზარმაზარი ხეები მოზიდა და გემი ააგო.
გემის მშენებლობის დასრულებისთანავე ღმერთმა წმინდა
ნუპ შუამავალს მოწმუნეთა გემზე აეგანა უბრძანა. გემზე
ყოველი სახის ცხოველისაგან მდებრი და მამრი უნდა
აეყვანა. ურწმუნებით ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდნენ მო-
ახლოებული უბედურების საშიშროებას. მეორე დღეს ცა
შავი ღრუბლებით დაიფარა და დაიწყო ჭექა-ჭეხილი, რა-
საც ძლიერი კოკისაირული წვიმა მოპყავა. რამდენიმე დღე
გადაუდებლად წვიმდა. მიწის ყოველი ნაწილი წყალმა
მოიცვა. ურწმუნებით მოებისაცემ გაიქცნენ, მაგრამ ამით
ველარ გადარჩნენ, რადგან ის ბეჭედებაზი მოებიც წყალჭ-
ვეშ მოექცა. ყველა, ვინც წმინდა ნუპ შუამავალს გემის
გამო დასცინოდა, დაიხრინა.

წვიმა, რომელიც დღეების განმავლობაში გადაუდებ-
ლად, კოკისაირულად უმჭებდა, ბოლოს გადაიდო. თითქოს-
და დაკარგული მზეც გამოჩნდა. ალლაპმა მისდამი მოწმ-
უნე ერთი მუჭა ადამიანები გადარჩინა.

წყლის დონემ ნელ-ნელა დაიკლო. გამოჩნდა მთები,
ბორცვები და გორაკები. ადამიანები გემიდან გადმოვიდ-

ნენ და დაიწყო ახალი ცხოვრება. ამის გამო წმინდა ნუკ შუამაგალის, წმინდა ადამ შუამაგლის შემდეგ, კაცობრიობის მეორე მამას უწოდებენ.

წმინდა ნუკიც ჩვენი შუამაგალია. პირველი გემი მან ააგო და მისი ცხოვრება უველაზე საუკეთესოდ წმინდა უკრანშია მოცემული.

ცეცხლში ჯარდის ბაზი

წმინდა ნუკის შემდეგ ადამიანები დედამიწაზე გამრავლდნენ, ახალი ქალაქები ახალად ააშენეს და დაიწყეს ერთიანად ცხოვრება, მაგრამ დროთა განმავლობაში შუამაგლების მიერ მოტანილი ჰეშმარიტი ერთლმერთიანობის მაღარებელი რჯული დაივიწყეს და კვლავ კერპებზე იწყეს თავებისცემა. გამჩენი მათ ჰეშმარიტი რჯულის შესახსნებლად მრავალი შუამაგალი მოუკლინა. მათგან ერთ-ერთი წმინდა იბრაკიმ შუამაგალია. იგი შუამაგლად ბაბილონის ქვეყანას მოეკლის რომლის ერთი ნაწილი დღევანდელი ოურქეთის საზღვრებშია მოქცეული. იქაური ხალხი მზეზე, მოვარეზე, ვარსკვლავებზე და თავიანთი ხელით ნაკეთებ კერპებზე ლოცულობდა.

იბრაკიმ შუამაგალი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ერთ დამეს ვარსკვლავებით მოკაზმულ ცას შეხდა და: „როგორ შეიძლება, ამათ ადამიანები დმერთებს უწოდებდნენ და მათზე ლოცულობდნენ?“ გაიფიქრა თავისოფას. უდიდესი სილამაზისა და მშვენიერების მომცველი ვარსკვლავები და მთვარე გათენებისას იგარგებოდნენ. „ეს მთვარე და ვარსკვლავები ზოგჯერ ჩნდებიან, ზოგჯერ კი იკარგებიან, ამიტომ არ შეიძლება ესენი ჩემი დმერთები იყვნენ“, ამბობდა იგი. განუწყვეტლივ ფიქრობდა: ერთ დღეს, გამოენისას, საწოლიდან წამოდგა და მზის ამოსჭლას უყურა. მზე ძალიან ლამაზად ბრწყინავდა. მან მოკლი და დღე მზეს უცქირა (დააკვირდა). საღამოს მზეც ნელნელა დასავლეთით დაეშვა და თვალს მიეფარა. იბრაკიმი დარწმუნდა, რომ მზეც არ შეიძლებოდა ყოფილიყო ის დმერთი, რომელზე თავებისცემაც სარგებელს მოუტანდა ადამიანებს. იგი ახლა ისეთ უზენაეს ძალაზე ფიქრობდა, რომელიც უველავრის: ადამიანების, მზის, მოვარისა და ვარსკვლავების გამჩენი იყო. დღეების მანძილზე იგი ამას ფიქრობდა, ბოლოს, თავისი გადაწყვეტილებით, ირწმუნა

ის უხილავი ძალა, რომელიც უველავრის გამჩენი და მასაზრდოებელი, ერთადერთი ალლაპია.

იბრაკიმ შუამაგალი რბილი ხასიათის, კეთილშობილი და გამმეტო იყო. მას ძალიან უყვარდა სტუმარზე მასპინძლობა და დარიბ-ლატაქზე დახმარება. უდიდესი ალლაპი წინა შუამაგლების მსგავსად, იბრაკიმ შუამაგლის მეშვეობით ხალხს ცუდი საქციელისაგან განრიდებასა და სიკეთის კეთებისაკენ მოუწოდებდა.

წმინდა იბრაკიმ შუამაგლის მამაც კერპებზე ლოცულობდა. შვილს ძალიან აღონებდა მამის ასეთი საქციელი. ერთ დღეს მამს მიმართა: „საყვარელო მამიკო, რატომ ეთაყვანები ამ კერპებს, რომელთაც არ ეყურებათ, ვერ ხედავნ და შენოვის არანაირი სიკეთე არ მოაქვთ? ალლაპი ერთადერთია, მას არა ჰყავს სწორი და მოზიარე.“ შვილის მხრიდან ასეთი მოულოდნელი სიტყვების გამგონე მამა გაბრაზდა და შეიღია: „როგორ ბერდავ შენ ჩვენი დმერთების უარყოფას?“ გაკიცხა და სახლიდან გააძევა ერთი დმერთის მორწმუნე შვილი. მიუხედავად იმისა, რომ მამა ასე ცუდად მოუპყრო, წმინდა იბრაკიმ შუამაგალმა გამჩენ ალლაპს მაინც შეავედრა საკუთარი მამა და მისოფის პატივება იოხოვა. იგი ალლაპს მამის ჰეშმარიტ გზაზე დაგეხნას ევდრებოდა.

წმინდა იბრაკიმ შუამაგლი თავის ხალხს მუხლოდრევით უხსნიდა და არწმუნებდა დმერთის ერთობაში, რომ თაყვანი მხოლოდ მისოფის უნდა ეცაო, და ის იყო სამყაროს პატრონი.

ბაბილონის მეფე ნემრუდი დაუნდობელი, ტირანი მმართველი იყო. ხალხი მისი შიშით იბრაკიმის მოწმდებისგან შორს დგებოდა. ერთ დღეს წმინდა იბრაკიმ შუამაგლი ნემრუდთან მივიდა და რჯულზე დაპატიჟა. გაამაყებულმა ტირანმა მედიდური კილოთი: „ამ სახელმწიფოს დმერთი მე ვარ, შენი დმერთი კი ვინა?“ - შემოჰყირა იბრაკიმს. „ჩემი დმერთი ალლაპია, იგი აკმდინებს და ხელმეორედ აცოცხელებს“, მიუგო იბრაკიმ შუამაგალმა. ამის საპასუხოდ ნემრუდმა სიკვდილმისჯილი ორი კაცი მოაკვინინა, მსჯავრდებულთაგან ერთის მოკვლა, ხოლო მეორეს განთავისუფლება ბრძანა. ჯარისკაცებმა დაუყოვნებლივ მოკლეს ერთი, მეორე კი გაანთავისუფლეს. ნემრუდი მიუბრუნდა წმინდა იბრაკიმ შუამაგალს: „აი, ხომ ნახ! მეც ვაკვდინებ და ვაცოცხ-

ლებ“. აბა რას იტევი? „ჩემს ღმერთს მზე აღმოსავლეთიდან ამოჰყავს, აბა ამოიყვანე შენ იგი დასავლეთიდან!“, მიუგო იბრაკიმ შუამავალმა. ამ სიტყვების გაგონებაზე ნემრული ბრაზისგან გადაირია. რა ეოქვა, აღარ იცოდა, მაგრამ აღლაპი მაინც არ ირწმუნა.


ბაბილონის ქალაქში ერთი დიდი საკერპთაყვანისმცემლო იყო. კერპთაყვანისმცემლებს აქ შესაწირავი მიჰქონდათ, კერპებს სწირავდენ და თავიანთი სურვილუბის ასრულებას ევედრებოდნენ. ერთ დღეს, როცა მთელი ქალაქის მოსახლეობა ტრადიციულ ზემზე ქალაქებარეთ იმყოფებოდა, წმინდა იბრაკიმ შუამავალი ჩუმად საკერპთაყვანისმცემლოში შევიდა, ხელში ცული აიღო და დიდი კერპის გარდა, მთლიანი კერპები დაამტკრია. ბოლოს ცული დიდ კერპს კისერზე ჩამოჟიდა და შეუმნევლად იქაურობას გაეცალა. ქალაქის მოსახლეობა, ზემის დასრულების შემდეგ, თავიანთ სამლოცველოში დაბრუნდა, მაგრამ ვაი უბედურებავ?... რა ნახა შათმა თვალებმა, ამდენი ღმერთის ამ მდგომარეობაში ჩაყენება ნებავ ვინ გაბედა? ფიქრობდნენ ისინი. კველას კარგად მოეხსენებოდა, რომ წმინდა იბრაკიმს კერპები არ სწამდა, ამტომ მათი პირველი სამიზნეც ის გახდა. იგი დაუყონებლივ მოიყვანეს და პეითხეს: „ეს ჩვენი კერპები შენ დაამტკრიე?“ იბრაკიმმა მიუგო: „აა, ამას, კისერზე ცულჩამოკიდებულ კერპს შეიძლება ჩაედინა, ვპიოთხო მას, ან ეგება, დაინახა დამნაშავე.“ ბრბომ განციფრებით ჯერ კერპს, მერე იბრაკიმს შეხედა. მათგან ერთ-ერთმა: „იბრაკიმ, ნუთუ დაგვცინი კიდეც? შენც კარგად იცი, რომ ესენი უსულონი არიან. არ ესმთ, ვერ ხედავებ და ვერ ლაპარაკობებ, ამან საიდან უნდა იცოდეს?! შეპყვირა გაბრაზებით. წმინდა იბრაკიმ შუამავლისათვის სანუკვარი დრო დადგა: „კი, მაგრამ, მათ, ვისაც არ შეუძლიათ დაინახონ, იღაპარაკონ, არ შეუძლიათ, დაეხმარონ არა სხვას, არამედ საქუთარ თავსაც კი, რისთვის ეთაყვანებით და ლოცულობთ მათზე?“ - პეითხა მან და ერთ ღმერთიანობის რწმენაზე მიიპატიუა. წმინდა იბრაკიმ შუამავლის სიტყვებმა იქ მყოფთა შეხედულებებზე დლიერ იმოქმედა. ეს ამბავი ხალხთა შორის ელვის სისწავით გაფრცელდა. ზოგიერთებმა დაგმეს კერპები და ერთი ღმერთი იწამეს. ნემრული ამ ამბის გაგონებაზე, კინადამ ჭკუიდან გადაირია, გააფორებულ ნადირს დაემსგავსა. იბრაკიმს თუ არ მოკლავდა,

სხვაგვარად მისგან თავს ვერ დაიხსნიდა. მორწმუნების დასაშინებლად წმინდა იბრაკიმის ცეცხლში დაწვა გადაწყვიტა. ურწმუნებმა შემა მოიგანეს და ქალაქის ცენტრში უზარმაზარ გორასავით აღმართეს. წმინდა იბრაკიმ შუამავალს სწამდა, რომ გამჩენი აღლაპი მას არ გასწირავდა და ნემრულის სასჯელისაგან დაიცავდა. ნემრულმა იფიქრა: „ეგებ შეშინდეს და მოეშვას თავის მოძღვრებასო“, მაგრამ, იბრაკიმი მხენედ იდგა და ისე გამოიყერებოდა, თოთქოსდა დასაჯილდოებლად წარედგინათ. მთელი ქალაქის მოსახლეობა ცეცხლის გარშემო შეკრბილიყო. ბოლოს, ნემრულის ბრძანებით, წმინდა იბრაკიმ შუამავალი ცეცხლში გადაისროლეს. კველას სუნთქვა შეეკრა და ამ საზარელი სასჯელის მსხვერპლს მიაპყრო მზერა. ვაი, საოცრებავ! ის უსაშინდესი კოცონი უცებ ვარდის ბაღად იქცა. მორწმუნების განციფრებანარევი სიხარულით სახეები გაუბრწყინდათ. ნემრული და მისი ამალა კი იდგნენ გაოგნებული, გაქვავებული. მომხდარის გამო ენა ჩავარდონდათ და აღარ იცოდნენ, რა ეოქვათ. უდიდესმა აღლაპმა ცეცხლს უბრძანა; წმინდა იბრაკიმის მიმართ ციფი და შშივიღობიანი ყოფილიყო. კველა მწვევლი ცეცხლიც მისითვის გრილ, ვარდის ბაღად გადაიქცა. წმინდა იბრაკიმ შუამავალმა ამ უდიდესი სასწაულის გამო უდიდეს აღლაპს მადლობა შესწირა.

ამ სასწაულის შემდეგ ურწმუნები მისდამი ახირებას ვეღარ ბედავდნენ.

წმინდა იბრაკიმ შუამავალმა, იმისათვის რომ სალხი ერთადერთი აღლაპის ჭეშმარიტ გზაზე დაეპატიუებინა, თავისი სამშობლო მიატოვა და ეგვიპტეში გადავიდა. მას იქ ორი ვაჟი იბრაკიმი და ისპაყი შეეძინა. ორივეს შუამავლობა ებოდა.

წმინდა იბრაკიმ შუამავალმა, თავის შვილ ისმაილთან ერთად, წმინდა ადემ შუამავლის მიერ აგებული სამლოცველოს საძირკველზე კვლავ ააგო და განაახლა აღლაპის სახლად წიდებული წმინდა სამლოცველო „ქაბა“. წმინდა იბრაკიმ შუამავალი და მისი შვილი წმინდა ისმაილ შუამავალიც ჩვენი შუამავლები არიან. მათი ცხოვრება-მოღვაწეობის ამბები კველაზე საუკეთესოდ უურანშია მოცემული.



ლამაზთა შორის უდამაზები იუსუფი

წმინდა იაკუბ (იაკობ) შუამაგალი წმინდა იბრაჟიმ შუამაგლის შთამომაგალია. იგი შუამაგლად ქანანის ქვეყანას მოევლინა. წმინდა იაკუბ შუამაგალს 12 ვაჟიშვილი შეეძინა. ამათგან იუსუფი მეთერთმეტე, ბუნიამინი კი უვალაზე პატარა იყო.

იუსუფი ქვეყნად ულამაზესი ბავშვი იყო. ძალიან საჭარელი ბავშვი იყო, ამიტომ წმინდა იაკუბ შუამაგალი მას მეტ დროს უთმობდა და გამორჩეულად უფერებოდა. ბავშვმა თავისი ქცევითა და თავმდაბლობით კველას შეაყვარა თავი. ამის გამო, მამით ძმებს იგი არ უყვარდათ და შურით უკურებდნენ.

ერთ დამეს იუსუფმა საოცარი სიზმარი ნახა. სიზმარში თერთმეტი ვარსკვლავი, მზე და მთვარე მას სეჯდეს უკურებდნენ (ეთავეანებოდნენ). ნახული მამას მოუყვა. მამა მონაცოლით ძალზედ აღელდა და თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა. შეილი გულში ჩაიკრა და გააფრთხილა, სიზმარი ძმებისთვის არ მოეთხოო, რადგან იცოდა, შვილი მომავალი შუამაგალი იქნებოდა, და შიშობდა, ვაითუ სიზმრის არსი ძმებმაც ამოიცნონ და რაიმე სიფათი შეამოხვიონო. ამის შემდეგ წმინდა იაკუბ შუამაგალი პატარა იუსუფს ვინმეს აღარ ანდობდა და გვერდიდან არ იცილებდა.

ცოტა სნის შემდეგ ძმებმა სიზმრის შესახებ გაიგეს. რამაც მათ შერი უფრო მოუმატა. ბოლოს მოილაპარაკეს და იუსუფის თავიდან მოშორების გზაც გამონახეს. კველამ ერთად ტყეში სასეირნოდ წასვლა გადაწყვიტა, იუსუფის წასაყვანად მამისაგან ნება ითხოვეს, მაგრამ წმინდა იაკუბ შუამაგალი ამ აზრს არ ეთანხმებოდა. შვილებმა დაუჩემეს: „ამდენი ვართ, ნუთუ ერთი იუსუფი ვერ უნდა გვანხდო? რა იქნება, ნება მოგვეცი ერთად წავიდეთ.“ ძმებმა მამა აიძულეს ნება დაერთო მათვების, იუსუფთან ერთად წასულიყვნენ სასეირნოდ. სახლიდან საკმაოდ

შორს გავიდნენ. ახლო-მახლოს არავინ ჩანდა. იუსუფის თავიდან მოცილების ხელსაყრელი დრო იყო. ძმებმა მას პერანგი გახადეს და შეუბრალებლად, მუხანათურად ჩააგდეს ჭაში. იუსუფი ჭის ერთ მხარეს გამოშვერილ ქვას ჩაეჭიდა და ალლაპის დახმარებით დახსრხობას გადაუწիა. ძმები უკვე იმას ფიქრობდნენ, როგორ მოეტყებინათ მამა. ბოლოს, იუსუფის პერანგი მოკლული ნადირის სისხლში დასვარეს და თვალობაქცური ტირილით მამასთან მივიდნენ: „მამიკო, სათამაშოდ ვიყავით გასული, იუსუფს მგელი დაქსესა თავს, ბეგრი ვეცადეთ, მაგრამ ვერ გადავარჩინეთ, ხელში მხოლოდ მისი სისხლიანი პერანგიდა შემოგრჩათ“, - მოახსენეს. წმინდა იაკუბ შუამავალმა პერანგი გულდასმით შეათვალიერა, როცა მასზე სულ მცირე გახეულიც რომ ვერ შენიშნა, უმაღვე მიხვდა ძმების მუხთლობას. მათვების სახეზეც კი აღარ შეუხედავს, ისე გააძევა თავის სამყოფელიდან. თვალები ცრემლით აევსო და გულის სიღრმეში საყვარელი შვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი იგრძნო.

იუსუფი ჭაში დიდ ხანს უმწეოდ იტანჯებოდა, რომ ამ დროს ეგვიპტეში მიმავალი ქარავანი წყლის ასაღებად მივიდა ჭასთან. ერთ-ერთმა მექარავნემ წყლის ამოღებისას ბავშვი შენიშნა, ამოიყვანა და ეგვიპტეში წაიყვანა. იქ იგი ეგვაპტის ერთ-ერთმა ვეზირმა მოსამსახურედ აიყვანა. იუსუფი ვეზირის სახლში დირსეულად იზრდებოდა.

ბავშვი რამდენადაც იზრდებოდა, იმდენად უფრო და უფრო დამაზებული ვეზირის ცოლს ძალიან მოსწონდა იგი და შეუგარებული იყო მასზე. ერთხელ, როცა სასახლეში მარტოდ დარჩნენ, ვეზირის ცოლმა იუსუფს უპატიური საქმე შესთავაზა. იუსუფმა ბილწი შეთავაზება უპუაგდო, რადგან იგი უაღრესად სპეციალი და ნამუსიერი ახალგაზრდა იყო. ვეზირის ქალბატონმა, საწადელი რომ ვერ აისრულა, იუსუფს ცილი დახსამა: - თითქოსდა მისი შეთავაზებული იუსუფს ეკადრებინა მისთვის, ქმართან დაასმინა და დილგებში ჩაასმევინა.

იუსტიციი ციხეში დიდხანს დარჩა. უდიდესმა ალლაპ-
მა მას სიზმრის ახსნა ასწავლა. იგი ციხის მეგობრებს
სიზმრებს უხსნიდა. მისი ახსნილი სიზმრები სინამდვი-
ლეში ხორციელდებოდა. უდიდესმა ალლაპმა იგი ადა-
მიანებს ჰქონდა გზის მაჩვენებლად - შუამავლად -
მოუკლინა.

წმინდა იუსტიფ შუამავალმა შეიძიო წლის განმავლობაში მოწეული მოსავლის ნაწილი საწყობებში შეინახა. შეიძიო წლის შემდეგ მართლაც დაიწყო მოუსავლიანი წლები. მეზობელი ქვეყნებიდან ხალხი, სარჩოს საყიდლად, ეგვიპტეში მიედინებოდა. წმინდა იუსტიფ შუამავლის ძმებიც, ბუნიამინის გარდა, კველა ეგვიპტეში ჩავიდა სარჩოს საყიდლად. ძმებმა იუსტიფი ვერ იცნეს, მაგრამ იუსტიფმა იცნო ძმები, თუმცა არ გაუმხილა. შემდეგ გზობაზე მათგან უმცროსი ძმის წამოყვანაც მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელცარიელი წასელა მოუწევდათ. მათ მიერ სარჩოში გადახდილი თანხაც ჰყან დაუბრუნა.

მეორედ მოსვლისას ძმებმა ბუნიამინიც მოიყვანეს. წმინდა იუსტფმა ბუნიამინს თავისი თავგადასავალი უამ-ბო და გულში ჩაიკრა. იმისათვის, რომ ბუნიამინი ეგვიპტეში დაეტოვებინა და ძმებიც არ მიმხდარიყვნენ მათ

ქმობას, იუსტიცია ფანდი მოუწყო. ეგვიპტის მმართველის ძვირფასი ნივთი ჩუმად ბუნიამინის ტვირთში ჩადო. მეორე დღეს, როცა მმები და მათთან ერთად ბუნიამინიც გზას გაუდგნენ, ისინი მცველებმა შეაჩერეს და ნავაჭრი შეუმოწმეს. მმართველის ძვირფასი ნივთი ბუნიამინის ტვირთში აღმოჩნდა. მმების თხოვნა-მუდარა არავინ იღო ყურად, ბუნიამინი დააპატიმრეს. მმების სხვა გზა არ ჰქონდათ, იგი მიატოვეს და სამშობლოში დაბრუნდნენ. რაც თავს გადახდათ კველაფერი მამას უამბეს. წმინდა იაყების მწუხარება გაორკეცდა. იგი მუდამ იუსტიცის დასტიროდა, ახლა კი ბუნიამინიც დაემატა. დარღისა და ტირილის გამო თვალებში სინათლე წაერთვა, უკვე ვერაფერს ხედავდა.

ის იმედს არ კარგავდა და ამბობდა: „ახლა მე მხოლოდ მოთმინება მმართებს, ალლაჰი ერთ დღეს ჩემს შვილებს შემახვედრებს. მისთვის კველაფარი ცნობილია“.

მქები ბუნიამინის გამოხსნის გამო ეგვიპტეში წავიდნენ, იუსუფ შუამავალთან მივიღნენ და ბუნიამინის განთავისუფლება თხოვეს. იუსუფ შუამავალმა პკითხა: „ოქეენს ძმას, იუსუფს, რა უქენითო?“ გაოცებულმა ძმებმა, „შენ იუსუფი ხომ არ ხარო?“ - უთხრეს. ისინი შიშმა მოიცვა. იუსუფ შუამავალმა უფროს ძმებს მის მიმართ ჩადენილი ბოროტება აპატია, მათ თავისი პერანგი გაუწოდა: „,პერანგი მამას წაუღეთ, ის მე სუნიო მიცნობსო,“ - უთხრა და გზას გაუყენა. იაყუბ შუამავალმა შვილის, იუსუფის, პერანგი მკერდში ჩაიკრა, უყნოსა და მონაბროტებულმა სახეზე მოისვა. აი ამ მოქენებში უდიდესმა ადლაპმა, მოთმინების სანაცვლოდ, მას მხედველობა დაუტრუნა. შემდეგ უკელანი ეგვიპტეში წავიდნენ. წმინდა იუსუფმა მამას უთხრა:

„მამაჩემო, აა, მაშინ რომ სიზმარი ვნახე, დმერომა
ამიხლინა. მაღლობა ალლაჟს!“

თუ ეს შეამაგალი დიდი ხნის განმავლობაში ეგვიპტის სამართლიანი ხელმწიფე იყო. ეგვიპტის მოსახ-

ლეობას შუამავლობა და პატრონობა გაუწია. ის ყველას სიკეთისა და სილამაზის კეთებისაკენ მოუწოდებდა.

წმინდა იაკუბი და წმინდა იუსუფიც ჩვენი შუამავლები არიან. მათი ცხოვრება ყველაზე ლამაზად ყურანშია აღწერილი.

ბაგშე წყალში: წმინდა მუსა

იაყუბ შუამავლის მოდგმას ებრაელები ეწოდებათ. ისინი წმინდა იუსუფის შემდეგ ეგვიპტეში დასახლდნენ და გამრავლდნენ. ეგვიპტის ფარაონი ადამიანებს უსამართლოდ ექცეოდა, მათ მონების მსგავსად ამჟამავებდა. ფარაონს ერთ დამეს ესიზმრა: თითქოს მის ტახტზე ცეცხლი დაეცა. სიზმრის ამსხნელებმა უთხრეს: ეს ცუდი სიზმარია, ერთი ებრაელი ბიჭი, რომელიც ახლა დაიბადება, ტახტიდან ჩამოგაგდებსო. ამის შემდეგ ფარაონის ბრძანებით, იმ წელს დაბადებული ყველა ბიჭის უმოწყალო ხოცვა-ულებრა დაიწყო. მუსაც იმ წელს დაბადებულ ბავშვთაგან ერთ-ერთი იყო. შეწუხებული დედა მუსას გადასარჩენად გამოსავალს ემებდა. ალლაჰისაგან მას ზეშთაგონება მოევლინა; „მას ძუძუ მოაწოვე. როცა ძალიან შეწუხებდი და ვერაფერს მოიფიქრებ, ის წყალში დატოვე. არ მოიწყინო, არ შეაქშინდეს, ჩვენ მას უკან დაგიბრუნებთ.“

დედამ პატარა მუსას ძუძუ მოაწოვა. საყვარელ შვილს გამოსამშვიდობებლად აკოცა, ხისგან დამზადებულ პატარა კალათში ჩააწინა და მდინარე ნილოსის წყალში შეაცურა, შვილი ალლაჰს მიაბარა. მუსას და, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვი იყო, თვალს აღვენებდა თუ როგორ მიჰქონდა კალათა წყალს.

მდინარის დინებამ ბავშვიანი კალათა ფარაონის სასახლესთან მიიტანა, რაც ნილოსის სანაპიროზე მოსეირნე ასიემ, ფარაონის ცოლმა, შენიშნა, ახლოს მივიდა, ნაპირზე გამოიტანა და საფარი ახადა, იქ ულამაზესი ჩვილი დახვდა. დაინტერესდა, პატარა ხელში აიყვანა და მაშინვე ისეთი



ერთ დღესაც მუსამ, ცოლოან ერთად, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და გზას გაუდგა. როცა სინას მთას მიაღწია, ალლაპმა ზეშთაგონება მოუვლინაა და შეაძლობა მიანიჭა. უდიდეს ალლაპს სურდა, რომ წმინდა მუსა ფარაონთან მისულიყო და მისთვის ჰეშმარიტი სარწმუნოება გაეკვნო.

წმინდა მუსამ თავისი ძმა, წმინდა პარუნი, რომელიც
მის მსგავსად შეამავალი იყო, გაიყოლა და ფარაონთან მი-
კიდა, ფარაონს მოუწოდა, რომ მას ალლაპის ერთადერთო-
ბა ეცნო და მას დამორჩილებოდა. მოსთხოვა, ებრაელების-
თვის ბოროტება არ გაეკეთებინა. ფარაონმა ეს მოწოდება
უარყო და მუსას მოსთხოვა, შეამავლობის დასამტკიცებ-
ლად რაიმე სასწაული მოეხდინა. წმინდა მუსამ ხელი-
დან ჯოხი ძირს დააგდო, ის მაშინვე უზარმაზარ გველად
გადაიქცა. ფარაონმა ეს ჯადოქრობად ჩათვალია, მაშინვე
ჯადოქრებს დაუძინა და უბრძანა: „მუსას ჯადოქრობა
ახლავე გააუგნებელყავითო“ ჯადოქრებმა მათი მთელი
შესაძლებლობა გამოიყენეს, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს.
ბოლოს დაბოლოს ისინი მისვლენენ, რომ ეს ჯადოქრობა კი

არა, სახურავი იყო. ალდაპი ირწმუნებს. მაგრამ ფარაონმა მაინც არ ირწმუნა. წმინდა მუსამ ებრაელი ხალხის ებ-ვიპტედან გაყვანა გადაწყვიტა და მძიმე გზას დაადგა. ფა-რაონმა, როგორც კი ეს გაიგო, გაცემულებს არჩია დასწია და ისინი წითელი ზღვის სანაპიროზე მიიმწყვდია.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა წმინდა მუს-
სამ უდიდეს ალლაპს დახმარება სოხოვა. ალლაპმა მას
თავისი კვერთხის ზღვაზე დაკვრა უბრძანა. შეამავალმა
წყალს კვერთხი შეახო თუ არა, ზღვა შეაზე გაიყო. მუსა
და მისი თანმხლები მოპირდაპირე ნაპირზე გავიდნენ.
ფარაონი და მისი არმიაც, ქეორე ნაპირზე გასვლის სურ-
ვილით, მათ მიჰყვნენ. ამ დროს ტალღები აზვირთდა და
ფარაონი და მისი არმია თან ჩაიყოლა. ალლაპმა ისინი,
კინც მისი ირწმუნა, ბოროტებისგან დაიფარა.

წმინდა მუსა მთელი სიცოცხლის განმავლობაში საზოგადოებას სოხოვდა, რომ ალლაჟზე ელოცათ.

წმინდა მუსაც ჩვენი შუამავალია, მისი ცხოვრება ყველაზე ლამაზად ყურანშია აღწერილი.

მუედნი შუამავალი წმინდა დავუდი

ალლაპმა წმინდა დავუდი შუამავლად აირჩია და მას წმინდა წიგნი ზებური უბოძა. ის ცნობილი იყო, როგორც ქარგი ხმის პატრონი. ამის გამო, ჩვენს ჯულტურაში იმ ადამიანს, ვისაც ქარგი ხმა აქვს, დავუდის ხმა აქვსო ამ-ბობენ: წმინდა დავუდი ლამაზი ხმით როცა ლოცულობდა, ყალბაზე ზემოქმედებას ახდენდა.

ალლაჟმა შუამავლებს, რომლებიც ადამიანებს მოუკლინა, მხოლოდ რწმენა კი არა, ამქვეყნიური ცხოვრებაც შეასწავლა. პირველი მქედელი დაუკავშირდება შეამავალი იყო. მორწმუნები, როცა მტრებს ეომებოდნენ, აბჯრით იცავდნენ თაქს.

წმინდა დაგუდიც ჩევნი შუამავალია. მისი ცხოვრება ყველაზე ლამაზად ყურანშია გადმოცემული.

ჩიტებთან მოსაუბრე შუამაგალი წმინდა სულიერი

წმინდა დაუდის შემდეგ შუამაგლობა წმინდა სულიერის დაევალდა. ის ალლაპისებან დიდ ძალაუფლებას ითხოვდა. ალლაპის მისი თხოვნა ისმინა და წმინდა სულიერის ცხოველების, ჩიტების ენა შეასწავლა, მას ქარზე მბრძანებლობის ძალაც უბოძა. ამქვეყნად ის გახდა ყველა სულიერი არსების მბრძანებელი.

წმინდა სილეიმანს არმიაში ჩიტებიც ჰყავდა. ერთ დღეს, როცა ჯართან ერთად ომში მიღიოდა, ოფოფი ვერ დაინახა, ჩიტები სადღაც დაიკარგა. ის მოაძებნინა და გაუზინარების მიზეზი პკითხა. ოფოფმა უთხრა: სებეს ხელმწიფის, ბელქისის (რომელიც ქალი იყო) ამბავი მოგიჩანეო. სებეს ხალხი თაყვანს შეხეს სცემსო. წმინდა სულიერიმა ბელქისს წერილი მისწერა. მას და მის ხალხს ალლაპის არსებობა და ერთადერთობა აუხსნა, მოუწოდა მათ მხოლოდ ალლაპზე ელოცათ. ბელქისმა ვეზირები შეკრიბა და წერილი წაუკითხა, დაიწყეს სჯაბაასი იმაზე, თუ რა მოქმედებინათ. ბელქისს ვეზირებმა წმინდა სულიერიმანთან ომი ურჩიეს, ბელქისს ომი არ უნდოდა და ამიტომ წმინდა სულიერის საჩუქრები გაუგზავნა, მაგრამ მან საჩუქრები უკან დაუბრუნა. შემდეგ ბელქისმა გადაწყვიტა წმინდა სულიერის მოსალაპარაკებლად თავად ხლებოდა.

წმინდა სულიერიმანა ეს რომ გაიგო, ბელქისის მოსპლიდე, მისი ტახტი მოატანინა. ბელქისმა თავისი ტახტი რომ სასახლეში დაინახა, გაოცდა, თუმცა მასზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება წყალზე აგებულმა ბროლის სასახლემ მოახდინა. ბელქისი მიხვდა, რომ ადამიანისთვის ასეთი ძალის მინიჭება მხოლოდ უდიდეს გამჩენს შეეძლო. მან მზის თაყვანისცემა შეწყვიტა და ქვეყნიერების ერთადერთი გამგებელი ალლაპი ირწმუნა.

წმინდა სულიერიმანიც ჩვენი შუამაგალია. მისი ცხოველი ყველაზე ლამაზად უკრანშია აღწერილი.

წვილი ლაპარაკობს: მარიამის შვილი ისა (იქსო)

წმინდა მარიამი (მერიემი) ცნობილი იყო, როგორც სპეციალის მქონე, პატიოსანი ქალი. იგი იმრანის ოჯახს ეკუთვნოდა, რომელსაც საზოგადოებაში გამორჩევდი ადგილი ეკავა. ალლაპის მას ანგელოზი, სახელად ჯებრაილი, ადამიანის სახით მოუვლინა. წმინდა მარიამმა უცხო მამაკაცი რომ დაინახა, შეეშინდა. ალლაპის გეშინოდეს ცუდი არაფერი დამიშაორ სთხოვა. ჯებრაილმა კი ასარა: „მე ალლაპისებან წარმოგზავნილი ელინი ვარ. იმისთვის გამომგზავნეს რომ შენ ლამაზი ვაჟიშვილი გაჩუქო.“ გაოცებულმა წმინდა მარიამმა პკითხა: „მე არც გათხოვილი და არც ზედაცემული ქალი ვარ. ნუთუ ბავშვი მექოლებაო?“ ჯებრაილმა წმინდა მარიამს აუხსნა: “დიახ. ეს დმერთისთვის ძალიან იოლი საქმეა. ალლაპი შენს შვილს ადამიანებისთვის სასწაულის საჩვენებლად გააჩენს. მას ძალა ყველაფრისთვის ჰქონდის.“

დღეებს დღეები, თვეებს თვეები მიჰყებოდა.

წმინდა მარიამი, მშობიარობის დრო რომ მოვიდა, ადამიანებისებან შორს წავიდა, ხურმის ხის ქეშ ამ ქვეყანას პატარა ისა მოუვლინა და სახლში ჩვილით ხელში დაბრუნდა. მას ძალიან ძნელი გამოცდა ელოდა. წმინდა მარიამის მიერ გათხოვებამდე ბავშვის გაჩენამ ხალხი გააოცა და მას ისე დაუწყეს უკრება, როგორც ზედაცემულ ქალს. მას უკნებოდნენ: „მარიამ ძალიან სამარცხებინო საქმე ჩაიდინე. წმინდა მარიამი კი პასუხობდა: „მე სამარცხებინო არაფერი ჩამიდენია. ჩემი შეილი ისა ალლაპის სასწაულია. მე თუ არ მიჯერებთ, მას პკითხეთ.“ ურწმუნებმა იცოდნენ, რომ ახალშობილი ბავშვი ვერ დაპარაკობს. ამ დროს სასწაული მოხდა და ჩვილმა ისამ ლაპარაკობს დაიწყო: „მე ალლაპის შუამაგალი ვარ. მან იმისთვის მომავლინა, რომ ადამიანებს ჰეშმარიტების გზა უზენო. იმისთვის რომ კარგი შვილი ეიყო, მე უკიდურესობას დამაშორა. როგორც ალლაპი დაბადება მარგუნა


განსაკუთრებული, ასევე იგი განსაკუთრებულ სიკვდილს და მეორედ მოსვლას მარგუნებს.“ ხალხი ახალშობილი ბავშვის ლაპარაკმა გააოცა და წმინდა მარიამის დადანაშაულებას თავი დაანება.

წმინდა ისა, ისევე როგორც ყველა შუამავალი, ადამიანებს მოუწოდებდა ალლაჰის ერთადერთობა ერწმუნათ. ეკვთებინათ კეთილი საქმე და სისაძაგლისთვის თავი ენჯბენინათ.

ადამიანებს, რომლებსაც არ სწამდათ, რომ შუამავლის ცხოვრების პერიოდი ბედნიერების საუკუნე იყო, ისას და მის მოციქულებს აწუხებდათ. ალლაჰი შუამავლებს და მათ მიმდევრებს ბოროტებისგან იფარავდა.

წმინდა ისაც ჩვენი შუამავალია. მისი ამბავი ყველაზე ლამაზად ყურანშია აღწერილი.





წინამდებრი არის ღმერთის
ქნიგურასაუკი მშენებად აღმასახმა-
სახმ ნაძოტბე ჰუმერი სიმრის
ერთადროთ წარინ, რას მეტყველობაც
დაფრთხის მეურ შემნიღ სიღმაჲსკებს,
ხეკვესა და ურთოების სიკვრცეს
შეკურნისონ და შეკვენიონ. წმინდა
ეპრანთ ესწაკლიბოთ ურთიერთობის
მორალურ-ნეტობრივ ქარმარიებს,
მომინებას და შემწერებლობას, ხა-
ტუჭებს, სისტემატისა და სისუსაფეს.